

დანართი 4

დამტკიცებულია ა(ა)იპ "მოსწავლე ახალგაზრდობის

ეროვნული სასახლის დირექტორის

2016 წლის 1 იანვარს N 71 ბრძანებით

ა(ა)იპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე"

მახვილგონიერთა და მხიარულთა საქალაქო ასპარეზობა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

იდეის ავტორი - ციალა საღარაძე

(შემეცნებით თამაშობათა სტუდიის გამგე)

მეთოდისტი - მარინე გელაშვილი

თბილისი 2016 წელი

ა(ა)იპ "მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე" ატარებს მახვილგონიერთა და მხიარულთა საქალაქო ასპარეზობას.

ასპარეზობაში მონაწილეობა შეუძლიათ თბილისის სკოლების

უფროსი ასაკის მოსწავლეებს (IX-XI).

ასპარეზობის მიზანი:

საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნების, წარსულსა და აწმოს, ისტორიის, ლიტერატურის, სახალისო მათემატიკის, ხელოვნებისა და კულტურის შესახებ მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება, მათი მახვილგონიერებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომჟღავნება, ფანტაზიის სტიმულირება.

კონკურსის ჩატარების ეტაპები:

- ასპარეზობა ტარდება 3 ტურად: სასკოლო, რაიონული და საქალაქო.
- I სასკოლო ტურში მონაწილეობს 5 მოსწავლისაგან შემდგარი გუნდი, რომლის წევრები გამოირჩევიან საერთო განათლების მაღალი დონით.
- სასკოლო ტურში გამარჯვებულ გუნდს ემატება ხატვის, ცეკვის, სიმღერის, თეატრალური ნიჭითა და სპორტული მონაცემებით დაჯილდოვებული კიდევ 5 მონაწილე. 10 წევრისგან შემდგარი გუნდი აგრძელებს ასპარეზობას სარაიონო ტურში ანუ ნახევარ-ფინალში. სულ სასწავლო წლის მანძილზე ტარდება 2 ნახევარ-ფინალი. გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს ხვდებიან დასკვნით საქალაქო ტურში.
- ასპარეზობის სასკოლო ტურები ტარდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე, სარაიონო კი დეკემბერსა და მარტში.
- დასკვნითი საქალაქო ტური ტარდება აპრილში, სასახლის თეატრალურ დარბაზში.
- კონკურსის შედეგებს შეაჯამებს ჟიური.
- I-II ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სიგელებით.